მსმენელი:	მენტორი:	თარიღი:

კომპეტენცია	მენტორის კომენტარები	დიახ	არა
ნაბიჯი ერთი: არჩევა			
1. შეფასების ფორმის გამოყენებით აგროვებს შესაბამის ინფორმაციას; არჩევს გადასაადგილებელ დამხმარე საშუალებებს, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს პირის საჭიროებებს.			
2. განსაზღვრავს, როდის სჭირდება პირს მიმართვა და აძლებს მიმართვას შესაბამის სამსახურში.			
ნაბიჯი ორი: მორგება			
3. გადასაადგილებელი დამხმარე საშუალების მორგება პირზე: • აყენებს პირს სწორ პოზიციაში • არეგულირებს გადასაადგილებელ დამხმარე საშუალებას • ამოწმებს მორგებას			
ნაბიჯი სამი: სწავლება			
4. ასწავლის პირს, როგორ გამოიყენოს გადასაადგილებელი დამხმარე საშუალება (შესაბამის გარემოში) • დაჯდომა და ადგომა • სიარული • კიბეზე (ან ბორდიურზე) ასვლა-ჩამოსვლა			
5. ასწავლის პირს გადასაადგილებელი დამხმარე საშუალების მოვლას: • რჩევები შემოწმებასა და შეცვლასთან დაკავშირებით • ზოგადი მოვლა			
6. აწვდის პირს ინფორმაციას შემდგომი დაკვირვების შესახებ: •როდის არის საჭირო შემდგომი დაკვირვება • ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამაფრთხილებელი ნიშნები (მაგ. ფეხების ყოველდღიური შემოწმება, დაცემის რისკი)			
ნაბიჯი ოთხი: შემდგომი დაკვირვება			
7. განსაზღვრავს შემდგომი დაკვირვების სწორ ქმედებებს ხელახალი შეფასების საფუძველზე, როგორიცაა: •არჩევს სხვა გადასაადგილებელ დამხმარე საშუალებას •არეგულირებს ამჟამინდელი გადასაადგილებელ დამხმარე საშუალებას •უზრუნველყოფს შემდგომ სწავლებას •ცვლის ან შეაკეთებს გადასაადგილებელ დამხმარე საშუალებას •მიმართავს სხვა სერვისს			
8. ახორციელებს შესაბამის შეკეთებას:			

• შურუპების მოჭერა • იღლიის ბალიშების და სახელურების შეცვლა • როლატორის მუხრუჭების რეგულირება			
ყველა ნაბიჯისთვის			
9. აჩვენებს უსაფრთხო და კლიენტზე ორიენტირებულ პრაქტიკას მომსახურების ყველა ნაბიჯზე.			

შენიშვნები მენტორისთვის

გამოიყენეთ ეს უნარების საკონტროლო სია, რომ დაგეხმაროთ:

- შეაფასეთ, რამდენად კარგად ასრულებენ მსმენელები გადასაადგილებელი დამხმარე საშუალებების უსაფრთხოდ მიწოდების უნარებს და:
    - თუ შეუძლიათ უსაფრთხოდ და დამოუკიდებლად მიაწოდონ გადასაადგილებელი დამხმარე საშუალებები, ან
    - სჭირდებათ დამატებითი სწავლება და თუ ასეა, რომელი უნარების გამომუშავება ესაჭიროებათ ყველაზე მეტად

გაითვალისწინეთ, რომ:

- ეს საკონტროლო სია აქცენტს აკეთებს ყველაზე მნიშვნელოვან უნარებზე, რომლებიც განხილულია TAP-ის მოდულში.
- შეიძლება იყოს სხვა უნარები, რომლებიც გსურთ, რომ თქვენმა პერსონალმა განავითაროს, თქვენი მომსახურების საჭიროებიდან გამომდინარე. შეგიძლიათ შემდგომ დახვეწოთ ეს საკონტროლო სია, თუკი სასარგებლოდ ჩათვლით.
- შეიძლება ოთხივე ნაბიჯის უნარები ერთ სესიაზე ვერ შეისწავლო, განსაკუთრებით კი შემდგომი დაკვირვება, რომელიც მოგვიანებით ტარდება.

უნარების საკონტროლო სიის გამოსაყენებლად:

- დააკვირდით მსმენელებს, რომლებიც ატარებენ გადასაადგილებელი დამხმარე საშუალებების მიწოდების ეტაპებს. ეს შეიძლება ჩატარდეს როლური თამაშის საშუალებით (პრაქტიკა ერთმანეთთან) ან კლიენტებთან.
- მუდამ დარწმუნდით, რომ კლიენტებთან პრაქტიკა უსაფრთხოდ ტარდება.
- ჩანიშნეთ ფორმაში, თუ შეასრულა მსმენელმა თითოეული უნარი. კომენტარების სვეტი დეტალების ჩასანიშნად გამოიყენეთ. ეს შეიძლება იყოს ისეთი რამ, რაც მსმენელმა კარგად შეასრულა, ან რასაც შემდგომი პრაქტიკა სჭირდება.

უკუკავშირის მიწოდება მსმენელებისათვის:

- თქვენი დაკვირვება განიხილეთ მოსწავლეებთან. გაუზიარეთ მათ თავიანთი ძლიერი მხარეები და სფეროები, რომლებსაც მეტი პრაქტიკა სჭირდება.
- მიაწოდეთ მსმენელს შევსებული საკონტროლო სიის ასლი.
- განაგრძეთ სწავლება და მხარდაჭერა, ხელახლა შეაფასეთ ისინი უნარებისა და თავდაჯერებულობის განვითარებასთან ერთად.
- **როდის არის მსმენელი მზად, დამოუკიდებლად უზრუნველყოს გადასაადგილებელი დამხმარე საშუალებები?**
- გადასაადგილებელი დამხმარე საშუალებების უსაფრთხოდ უზრუნველსაყოფად, მსმენელმა თანმიმდევრულად უნდა დაასრულოს ყველა უნარი სწორად.
- გახსოვდეთ - სწავლება და ზედამხედველობა მუდმივი პროცესია უნარების გაუმჯობესების გასაგრძელებლად.